EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK

ICPR Institute for Crime & Justice Policy Research

ECtHR-სა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) და CJEU-ს (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს) ციხის შესახებ პრაქტიკის მიმოხილვა

*წინამდებარე შეჯამება აგროვებს ციხის პრობლემებზე **European Court of Human Rights-სა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა)** და **Court of Justice of the European Union (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს)** მიერ გამოცხადებულ ყველაზე მნიშვნელოვან განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. ბიულეტენი მიზნად ისახავს ევროპული ციხეების პრეცედენტული სამართლის ძირითადი ტენდენციების შესახებ ანგარიშებით ბიულეტენი მიზნად ისახავს ციხის სფეროში პრაქტიკოსი იურისტების მხარდაჭერას კვლევასა და სამართალწარმოებაში, აგრეთვე ევროპულ პრეცედენტულ სამართალში მკვდარი ზონების იდენტიფიცირებას.*

საქმეების მიმოხილვა
ნოემბერ-დეკემბერი 2022

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

E. D. L. (საქმე C-699/21) ■ [გენერალური ადვოკატის კამპოს სანჩეს ბორდონას მოსაზრება]
იმ ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული რისკმა, რომლის დანებებას ითხოვენ, შესაძლოა გაამართლოს დაკავების ევროპული ბრძანების გადადება, მაგრამ არა უარი მის შესრულებაზე შემდგომი დასაბუთების გარეშე.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო

სანჩეზ-სანჩეზ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (SANCHEZ-SANCHEZ v. UNITED KINGDOM [GC]) ■ [საჩივრის ნომერი 22854/20]
არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პირობით გათავისუფლების გარეშე უვადო თავისუფლების აღკვეთის რეალურ რისკს, განმცხადებლის აშშ-ში ექსტრადიციისა და იქ მსჯავრდების შემთხვევაში: **მესამე მუხლის დაურღვევლობა**

მაკალუმი იტალიის წინააღმდეგ (McCALLUM v. ITALY [GC]) ■ [საჩივრის ნომერი 20863/21]
არ არსებობს შეუმცირებელი სამუდამო პატიმრობის რისკი აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში, განმცხადებელს ექნება პირობითი გათავისუფლების უფლება ბრალდების შემცირების შემდეგ: **დაუშვებელია.**

კუპინსკი უკრაინის წინააღმდეგ (KUPINSKYY v. UKRAINE) ■ [საჩივრის ნომერი 5084/18]
პატიმრის გადაყვანისთანავე, უცხო ქვეყნის შემცირებადი უვადო თავისუფლების აღკვეთის გარდაქმნა შეუმცირებელ სასჯელად, მის სამშობლოში უვადო პატიმრებისთვის პირობით გათავისუფლების ხელმიუწვდომლობის გამო: **მესამე მუხლის დარღვევა**.

ზახაროვი უკრაინის წინააღმდეგ (ZAKHAROV v. UKRAINE) ■ საჩივრის ნომერი 52784/19
უვადო თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე: **მესამე მუხლის დარღვევა**.

გაბიდულინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (GABIDULLIN AND OTHERS v. RUSSIA) ■ საჩივრების ნომრები 43125/17 და 7 სხვა
წინასწარი დაკავების დაწესებულებებში ოჯახების ვიზიტების შეზღუდვა: **მერვე მუხლის დარღვევა**.

კალდა ესტონეთის წინააღმდეგ (KALDA v. ESTONIA (No.2)) ■ საჩივრის ნომერი 14581/20
შიდა სასამართლოების მიერ კანონით დადგენილი სიით კენჭისყრის აკრძალვის პროპორციულობის საფუძვლიანი შეფასება, რომელიც გამოიყენება კონკრეტულად განმცხადებლის, უვადო პატიმრობა მისჯილის მიმართ, რომელიც მსჯავრდადებულია რამდენიმე მძიმე დანაშაულისთვის: **#1 პროტოკოლის მესამე მუხლის დაურღვევლობა**.

სუბაში და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (SUBAŞI AND OTHERS v. TÜRKIYE) ■ საჩივრების ნომრები 3468/20 and 18 others
პატიმრებს უარი ეთქვათ, ესარგებლათ მათი სკოლის ასაკის შვილების ვიზიტებით და უქმეებზე სატელეფონო ზარებით: **მერვე მუხლის დარღვევა**.

ვლადი რუმინეთის წინააღმდეგ (VLAD v. ROMANIA) ■ საჩივრის ნომერი 122/17
სამართლებრივი დაცვის საშუალების ბოლომდე გამოუყენებლობა, რომელიც ძალაში სისტემურ საკითხთან დაკავშირებით საპილოტე გადაწყვეტილების შემდეგ ახალი პრეცედენტული სამართლის შედეგად განაცხადის შეტანის შემდეგ შევიდა: **დაუშვებელია.**

იაკოვლევი უკრაინის წინააღმდეგ (YAKOVLYEV v. UKRAINE) ■ საჩივრის ნომერი 42010/18
ციხეში მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვება, სამედიცინო აუცილებლობისა და საკმარისი პროცედურული გარანტიების გარეშე, გადამეტებითი ფიზიკური შეზღუდვითა და ტკივილის მიყენებით: **მესამე მუხლის დარღვევა**.

G.T. საბერძნეთის წინააღმდეგ (G.T. v. GREECE) ■ საჩივრის ნომერი 37830/16
პატიმარისთვის ავადმყოფი დედის მონახულებასა და მოგვიანებით მის დაკრძალვაზე დასწრებაზე უარი მხოლოდ იმიტომ, რომ იყო საჭირო ესკორტი და მოხდებოდა ციხიდან შვებულებით გაშვების მაქსიმალური ვადის გადაჭარბება: **მერვე მუხლის დარღვევა**; ამ საკითხთან მიმართებაში ეფექტური საშუალების ნაკლებობა: **მე-13 მუხლის დარღვევა**.

აზმატგირიევი და მენკოვი რუსეთის წინააღმდეგ (AZMATGIRIYEV AND MENKOV v. RUSSIA) ■ საჩივრების ნომრები 26683/18 and 9122/19
მსჯავრის დადების შემდგომ დაკავების დაწესებულებებში დაკავებულთა მუდმივი ვიდეო-თვალთვალი: **მერვე მუხლის დარღვევა**; ამ საკითხთან მიმართებაში ეფექტური საშუალების ნაკლებობა: **მე-13 მუხლის დარღვევა**.

განმეორებითი საქმეები

ტრანსპორტი ■ *9 კომიტეტის გადაწყვეტილებები რუსეთის წინააღმდეგ საქმეებზე*
დაკავების არაადეკვატური პირობები პატიმართა გადაყვანის დროს (მათ შორის არაადეკვატური ჰიგიენური ნაგებობები, დასაძინებელი ადგილების არასაკმარისი რაოდენობა, სუფთა ჰაერის ნაკლებობა, პატიმართა სიჭარბე, ცუდი ხარისხის საჭმელი, არაადეკვატური ტემპერატურა, სასმელ წყალზე შეზღუდული წვდომა, პასიური მწეველობა და ა.შ.): **მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევა**

დაკავების პირობები ■ *2 კომიტეტის გადაწყვეტილებები რუსეთის წინააღმდეგ საქმეებზე*
მკაცრი რეჟიმის ქვეშ დაკავების არაადეკვატური პირობები: **მესამე მუხლის დარღვევა**.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>

www.prisonlitigation.org
21ter rue Voltaire
75011 Paris
France

contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.